ისე გადადის ქართული სუფრა, ისე ეძლევა დავიწყებას მისი წესები, რომ მისი უბრალო ელემენტარული აღწერილობაც არ გვრჩება. არ არსებობს მის შესახებ რაიმე ეთნოგრაფიული ნარკვევი. მხოლოდ უცხოელებმა სცადეს, გაერკვიათ რას წარმოადგენს ემპირიულად ქართული სუფრა. პირველი აღწერილობაც, თუ არ ვცდები, მათ ეკუთვნით, რამდენიმე ადამიანს, რომლებიც არ აძლევენ თავს უფლებას, იკვლიონ მისი საზრისი. ქართველებს ეს არ გაუკეთებიათ. ერთადერთი გამონაკლისი ლიტერატორი ლევან ბრეგაძეა, რომელმაც სპეციალური წერილი უძღვნა მას. წერილმა გამოხმაურება გამოიწვია. იყო პასუხები, კვლავ პასუხები. საკითხმა აბერაცია განიცადა, სხვა პლანში გადაინაცვლა. ლ.ბრეგაძე თავგამოდებით იცავდა თავის შეხედულებას. პოლემიკამ დატოვა სტატუს ქვო – პირველწამომწყები ისევ თავის თვალსაზრისზე დარჩა, იქნებ უფრო მყარად, ვიდრე პოლემიკამდე. ვფიქრობ, ეს ლიტერატურული (პოლემიკა გაზეთ "არილში" მიმდინარეობდა) ფაქტი გახდა მიზეზი იმისა, რომ კავკასიის ინსტიტუტმა საჯარო სჯა-ბაასი გამართა მრგვალი მაგიდის სახით ანუ სიმპოზიუმი, რაც ყველამ იცის, ქართულად სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა "თანასმას". მისი ფენომენის ასახსნელად მიუსხდა მაგიდას ქართველ ინტელექტუალთა საზოგადოება.

"მეტაფიზიკური კრისტალი" და არა მისი დეგრადირებული, ყველაზე ცუდად გამოვლენილი სახე.

სტრუქტურა უფრო მეტად, ვიდრე მისი ესთეტური თუ მხატვრულ-ემოციური მხარე. რადგან საზრისი მოვლენის სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ, არა მის ფენომენოლოგიაში.

არ უარვყოფთ მის განვიტარებას, თუნდაც ევოლუცია, ახალი ფორმებისა თუ ფუნქციის გაჩენას, უფრო სწორი ვიქნებით, თუ ევოლუციის ნაცვლად გამოვიყენებთ მანიფესტაციის ცნებას, რაც ემბრიონულად (პოტენციურად) არსებულის გამოჩენას გულისხმობს. სტრუქტურა თავად ქმნის თავის ახალ ფორმას.

მაგრამ როგორ გავარჩიოთ პირველადი კრისტალისეული მეორადისგან, რომელთა შორის პარაზიტული დანაშრევებიცაა.

ის, პირველ რიგში სოციალური ინსტირუტია, თუმცა მას სხვა განზომილებაც აქვს, როგორც კულტურულ მოვლენას, ე.წ. არტეფაქტს.
ნოეს აღმოჩენა. ნოეს ზურგზე გადატყდა ღვინის ძალის აღმოჩენა.

ადამიანთა დამაკავშირებელი,
სტუდენტობისდროიბდელი შეხვედრები სუფრაზე,
პირველგაცნობები. ამას თავისი წესი ჰქონდა,
სადღეგრძელოები აქ ახალ ფუნქციას იძენდა. მრავალწილად სიყვარული ჩვენს შორის ამ სუფრებით იყო განპირობებული. ადამიანები სიყვარულით ხვდებოდნენ და სუფრაზე გარტარებული რაოდენიმე ხანი ამ სიყვარულის მზრდელი

იყო. იქ ახლადგაცნობილინი ან ადრეგაცნობილნი, დამეგობრებისკენ მიდრეკილნი ეცნობოდნენ ერთმანეთის დედმამიშვილობას... მეგობრის ჩვენგან უნახავი და ან ძმა ჩვრნთვის ძვირფასი ხდებოდა, ეს სძენდა რაღაც ახალ წახნაგს მათ ურთიერთობას. მახსოვს, როგორ აღმოვაჩინეთ სუფრას მიმსხდარებმა, ოთხმა-ხუთმა მეგობარმა, რომ თითოეულს თითო ძმა გვყავდა. ეს ადრეც ვიცოდით, მაგრამ ამ "დამთხვევამ" რაღაც პროვიდენციული მომენტი შემოიტანა ჩვენს იმჟამინდელ ეფემერულ სუფრაზე.

სადღეგრძელოებს შეუძლია ადამიანთა დაჯგუფება რაღაც ნიშნით, რაც სრულიად გარკვეულ ინტუიციას და ხელოვნებას მოითხოვს.

კოცნა სუფრაზე? რატომ მხოლოდ სუფრაზე ან რატომ არის ეს ჩვეულება შეხვედრა-გამომშვიდობების დროს ურთიერთკოცნა, უფრო გადაკოცნა. ბევრს აღიზიანებს? შესაძლოა, რაღაც ასოციაციას იწვევდეს, დაეჭვებას? აკი ერთ-ერთერთმა ავტორმა კიდეც გაახმიანა ეჭვი.

ურთიერგადაკოცნა ვეფხისტყაოსანში რამდენჯერაც გნებავთ, იმდენჯერ ხდება. რამდენჯერაც საწიროა, ანუ როცა გმირები ხვდებიან ერთმანეთს.
ნუ დაგვავიწყდება, რომ კოცნა, ამბორი ძველი ქრისტიანული ჩვეულებაა. ლიტურგიის პროცესში არის მომენტი, როცა მორწმუნენი ერთმანეთს ამბორსუყოფენ.

სად არის კანონიკური სუფრა? უნახავს ის ოდესმე ვისმე? დასწრებია მას? ყოფილა მისი მონაწილე?

იმპროვიზაცია. უთუოდ არსებობს. ვრ დავეტანხმები ლ.ბრეგაძეს, რომ ქართულ სუფრაზე "თავისუფალი იმპროვიზაციების მოყვარული ტავს ერთობ ვიწროდ გრძნობს" ("არილი", 13(60), 1997,გვ. 1).
ვერც გ.ნოდიას, რომელიც ქართული სუფრის თამადის "ერთპიროვნულ დიქტატურაზე" ლაპარაკობს.

მეჩვენება, რო ლ.ბრეგაძე ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა "კონპენსაცია" (შეუსრულებელ მოვალეობათა) "შეუსრულებელი მოვალეობებით გამოწვეული ნევროზები". ნებისმიერ კულტურულ მოვლენას, ინსტიტუტს ავხსნით ამით, თუ მოვინდომეთ. არსებობს კიდეც ასეთი ახსნა. ეს ფროიდისეული ახსნაა, რისგანაც ფსიქოანალიზი კარლ-გუსტავ იუნგმა გაათავისუფლა.

ეს "გათავისუფლება", რაზეს ლ.ბრეგაძე საუბრობს, ნამდვილად არსებობს, ხდება სუფრის პროცესში, მაგრამ ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, რომ სუფრა, მისი სტრუქტურა სადღეგრძელოთა მთელი სისტემით ამ ფუნქციით შეიქმნა. ეს თანმხლებია, არა ამოსავალი, არა თავდაპირველი.

"ქართული სუფრა ზალიან უახლოვდება რელიგიურ რიტუალს..." ეს მართალია, იგი უთუოდ რიტუალური წარმოშობის უნდა იყოს; რიტუალურობა მისი მეორეული, შეძენილი მახასიათებელი არ შეიძლება იყოს. ეს სიახლოვე

ჩანს არა მიცვალებულთა სულის ხსენებაში ან დალოცვაში, – პირველი მისი შემადგენელია, მეორე ზოგადია, ქრისტიანული წესით ის ყოველი საქმიანობის დაწყებას, უძღვის ჭამა-სმას საზოგადოდ...

მაგრამ სუფრას არავითარი კავშირი ლიტერატურასთან, მის რომელიმე ჟანრთან არა აქვს. ის კულტუროლოგიურ სფეროს ეკუთვნის, წმიდა წყლის კულტურული ფენომენია, ამ უკანასკნელის ცნების ვიწრო გგებით. ანუ ის არის ინსტიტუტი, რომელიც რარაც პირველადის გადამუშავების შედეგად არის მიღებული, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის არტეფაქტია, რომლის სუბსტრატი ბიოლოგიურ-უტილიტარულ სფეროში ძევს.

სუფრის სტრუქტურა და ფენომენოლოგია.

“ზაკუსკის” არსებობა თანამედროვე ქართულ სუფრაზე არ მოწმობს საერთოდ სუფრის, როგორც ასეთის, გვიანდელ წარმოშობას (როგრც გ.ნიჟარაძე შენიშნავს). კერძები, სახელწოდებები იცვლება, სუფრა რჩება.

ავტორები განსხვავებული კუთხით უდგებიან სუფრას. მათი ობიექტი სხვადასხვაა. ნიჟარაძე ფსიქოლოგიური კუთხით: როგორია ქართული სუფრა თუ მისი შემოქმედი? პასუხობს: ისტეროიდული (გვ.24). მაგრამ ეს ეხება სუფრაზე კერძების მიტანა-განლაგების მეთოდს. აქ არა იმდენად სუფროს

საზრისზეა ყურადღება, არამედ სუფრის შემქმნელის ფსიქოლოგიურ ტიპზე.
ისტეროიდულს – ამ ნისანს ის ავრცელებს და მიუყენებს სხვა კულტურულ ფენომენებსაც, როგორიც არის პანაშვიდი, მართლაც ტიპიური ქართული მოვლენა. ეს ჩვენი ტრადიციაა და, სუფრისგან განსხვავებით, უნდა ითქვას, რომ არცთუ ისე ადრინდელი მოვლენაა. თუმცა მისი (საერთოდ სამგლოვიარო რიტუალის ქელეხის ჩათვლით) ფორმები ჩვენს თვალწინ იცვლება.

ყველა ერთხმად აღნიშნავს ქართული სუფრის რიტუალურობას. (ბრეგაძე, ნიჟარაძე...).

კარგად არის შემჩნეული ანალოგია ქართული სუფრის კერძებსა და სალაპარაკო ენას შორის (სუფრის კერძი ისევე განსხვავდება ყოველდღიური კერძისგან, როგორც სალიტერატურო ენა სალაპარაკო ენისგან), მაგრამ აქ ნამდვილად არ არის მოსატანი ისტეროიდულობა. ასეთი განსხვავებები ყველა კულტურასა და კულტურის ყველა შრეში შეიმჩნევა.

ყვეკა უკრიტიკოდ იღებს ლ.ბრეგაძის თვალსაზრისს (როგორც დაასაბუთაო. თუმცა ეს დასაბუთება არ იყო, არამედ ანალოგია). უმატებენ: რუსეთის იმპერიის პირობებში "კულტურამ მოძებნა თვითმყოფადობის დაცვის მექანიზმი სხვა მექანიზმი – გამოიმუსავა სუფრის რიტუალი" (ნიჟარაძე).

მაგრამ არავინ არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რატომ არის ქართლი სუფრა ასე მოწესრიგებული განსხვავებით ქართული ყოველდღიური, თუნდაც, საზოგადოებრივი, ყოფისგან.

თამადის ავტორიტარულობა "ქართულ კულტურაში მამის, როგორც სოციალური როლის სისუსტის კომპენსაციაა"? (ნიჟარაძე).

სმა კაცის საქმეა, ამიტომ არის ქართული სუფრა "მასკულინური", როგორც ნიჟარაძე აღნიშნავს, მაგრამ რატომ ფიქრობს, რომ "სუფრის რიტუალის ჩამოყალიბებამდე" იგი ასეთი არ იქნებოდა? ძველ საზოგადოებებში ქალებისა და მამაკაცების ერთად სმა-ჭამა მიღებული არ იყო (გავიხსენოთ, რას ამბობს შუშანიკი; ეს წესი დღეს საქართველოს მთიანეთში ცოცხალია).

ვერ გავიზიარებთ ამგვარად დასმას პრობლემისა: "საქართველოში სუფრისა და სუფრის ცნობიერების ტოტალური ბატონობის გამო სამოქალაქო საზოგადოება ისეთ მდგომარეობაშია, როგორშიც არის" (ნიჟარაძე, 30). სუფრა აქ არაფერ შუაშია, როგორი საზოგადოებაა, ისეთია სუფრაც.
ბოლოს ასკვნის, რომ "სამოქალაქო საზოგადოების გაჩენა და მომძლავრება პირდაპირ მუქარას უქმნის ჩვენს საყვარელ რიტუალს. არჩევანი ჩვენზეა" (30). ეს გავს რელიგიური რწმენის გაქრობის მოლოდინს მეცნიერული ეპოქის დადგომისას. მაგალითად, კომუნიზმის დროს.

ის აბდაუბდა, რომელიც სუფრის სადღეგრძელოების ნიმუშად არის მოტანილი, უფრო მენტალიტეტის, განვითარების თუ გემოვნების მაჩვენებელია.